

**ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა  
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)**

**პროგრამის მოსარგებლეები არიან:**

- ✓ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.
- ✓ ჩანაცვლებითი თერაპიის მოსარგებლეები შეიძლება იყვნენ ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც გამომგზავრების მომენტისთვის ჩართული იყვნენ უცხოეთში მოქმედ ჩანაცვლებით პროგრამებში

**სამედიცინო მომსახურების სახეები:**

- სტაციონარულ დეტოქსიკაცია და პირველად რეაბილიტაცია ოპიოიდების, სტიმულატორების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების, მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს
  - ფინანსდება სრულად სახელმწიფოს მიერ
  - სამედიცინო რეაბილიტაცია უტარდებათ მხოლოდ იმ ბენეფიციარებს, ვისაც ჩატარებული აქვთ სტაციონარული დეტოქსიკაცია და სტაციონარული დეტოქსიკაციისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ჩატარებას შორის გასული ვადა არ აღემატება 14 კალენდარულ დღეს
- ჩანაცვლებით თერაპია (ჩამანაცვლებელი მედიკამენტები) და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა
  - ფინანსდება სრულად სახელმწიფოს მიერ
- ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარულ მომსახურება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.
  - მოსარგებლის მიერ გადასახდელი თანხა შეადგენს ფაქტობრივი ხარჯის 10%-ს

## პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებებით სარგებლობის წესი

სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს „სტაციონარული დეტოქსიკაციისა და პირველადი რეაბილიტაციის კომპონენტის“ ფარგლებში, პროგრამის

მომსახურების მიღების მსურველი ან დაინტერესებული პირი სააგენტოში წარადგენს დადგენილი ფორმის შევსებულ განცხადებას, რომელსაც უნდა ერთოდეს:

- მომსახურების მიღების მსურველი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან დაბადების მოწმობის ასლი (დაინტერესებული პირის მომართვის შემთხვევაში, ასევე, მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი);
- კომპონენტის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა NIV-100/ა (ფორმა NIV-100/ა გაცემული უნდა იყოს განცხადებით მომართვამდე, არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

პროვაიდერთან თავისუფალი ადგილის გაჩენის შემთხვევაში, მოსარგებლები დაკმაყოფილდებიან მომართვის თარიღის შესაბამისი რიგითობის გათვალისწინებით, თანხმობის წერილის საფუძველზე. მოსარგებლემ მკურნალობა უნდა დაიწყოს თანხმობის წერილის გაცემიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა.

**ბუპრენორფინ-ნალოქსონით ჩანაცვლებით თერაპიაში** პაციენტების ჩართვა ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში:

- პაციენტის ასაკი 25 წელზე ნაკლები;
- დადასტურებულია მეთადონის აუტანლობა;
- დასტურდება მეთადონის გამოყენების უკუჩვენება.

კოდი (ICD-10)	დასახელება	ღირებულება (ლარი)
F10.4	ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი; ალკოჰოლის მდგომარეობა დელირიუმით	835
F10.5 (F10.5.1)	ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი; მწვავე ბოდვითი ფსიქოზური აშლილობა	1020
F10.5 (F10.5.2)	ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი; ფსიქოზური აშლილობა მწვავე ჰალუცინოზით	790
F10.31	ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი; ალკოჰოლის მდგომარეობა გულყრებით	880

მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ:

<https://nha.moh.gov.ge/storage/files/shares/Momwodebeli%20dawesebulebebi/narkomaniit%20daavadebul%20pacienna%20mkurnalobis%20programa.pdf>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05